



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 241

ქალაქი ქუთაისი 24 თებერვალი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, იაშვილის ქუჩის №29-ში არსებული საცხოვრებელი
სახლის ფასადზე, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის,
პაოლო იაშვილის მემორიალური დაფის განთავსების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2016 წლის 5 თებერვლის სხდომის №60 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, იაშვილის ქუჩის №29-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, პაოლო იაშვილის მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ცისფერყანწელთა ორდენის დამაარსებელი და მეთაური, პაოლო (პავლე) იაშვილი /1892–1937 წლები/. ამავე სახლში მისივე რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალები „ოქროს ვერძი“ /1913 წელი/ და „ცისფერი ყანწები“ /1916 წელი“.

მუხლი 2. მემორიალური დაფის განთავსებისათვის საჭირო თანხები გამოიყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია